

2. აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილება 1965-1974 წლებში დაბადებულ მოქალაქეთა 1992 წლის აპრილ-ივნისში ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს 1992 წლის 31 მარტის დადგენილების... შესასრულებლად, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. რესპუბლიკის სახალხო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, ადმინისტრაციათა მეთაურებმა, სამხედრო-სამობილიზაციო განყოფილებებთან ერთად, ჩაატარონ 1965-1974 წლებში დაბადებული მოქალაქეებისა ნამდვილ სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევა 1992 წლის აპრილ-ივნისში.

2. (...)

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სისტემატური დახმარება გაუწიოს რესპუბლიკის სამხედრო-სამობილიზაციო განყოფილებებს იმ პირთა თავისდროულ მოძიებაში, რომლებიც თავს არიდებენ ნამდვილ სამხედრო სამსახურს, მიიღოს გადამჭრელი ზომები მათი სისხლის სამართლის პასუხისგებაში გადაცემითაც კი.

3. ეთხოვოს აფხაზეთის პროკურატურებს _ შესაბამისი რეაგირების გარეშე არ დატოვონ მოქმედი კანონმდებლობის დარღვევის ფაქტები.

(...)

5. აფხაზეთის ფინანსთა სამინისტრომ (ამხ. სიჭინავა) მოახდინოს წვევამდელთა გადასაყვანად სატრანსპორტო მომსახურების ანაზღაურება აფხაზეთის სამხედრო-სამობილიზაციო სამმართველოს მიერ წარდგენილი ანგარიშების მიხედვით.

6. აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ ნამდვილ სამხედრო სამსახურში გაწვევის პერიოდში:

1992 წლის 25 აპრილიდან 30 ივნისამდე, 1965-1974 წლებში დაბადებული მოქალაქენი, რომელთაც არა აქვთ სამხედრო ბილეთები, არ მიიღონ სამხედრო-სამობილიზაციო განყოფილებების წერილობითი თანხმობის გარეშე სტაციონარულ მკურნალობაზე და გამოკვლევებზე, იმათს გარდა, ვინც ექსტერნულ დახმარებას საჭიროებს.

(...)

1992 წლის 30 აპრილი.

(გაზეთი "აფხაზეთის ხმა", #76, 1992 წლის 12 მაისი)